რ. ბოჭორიშვილ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რ ე ქ ტ ო რ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№12/01-01 27.02.2008

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულებისა
და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლიდან
გამომდინარე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობა თანახმად №1; №2 დანართებისა.
2. დაევალოს ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს (რ. ბოჭორიშვილი) წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარება.
3. კონტროლი ბრძანების შესარულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გულნაზ გალდავას.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი ბრძანებებისთვის FOR ORDERS გ. ხუბუა

დანართი №1

დამტკიცებულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

2008 წლის „27" 02

№12/01-01 ბრძანებით

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების შესახებ დებულება

1. ზოგადი საკითხები:

1.1. დაწესდეს ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც სპეციალიზირდებიან:
ა) ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში;
ბ) ფართოდ გაგებულ წრფივ (ფუნქციონალურ) ანალიზში;
გ) თეორიულ ფიზიკაში;
1.2. სტიპენდია ინიშნება ველინგტონის Victoria University's პროფესორის, ესტატე ხმალაძის ინიციატივით.
1.3. ინიშნება მინიმუმ ერთი სტიპენდია, მინიმუმ სამი წლის განმავლობაში. თითოეულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია მინიმუმ 1 წლის ვადით. სტიპენდიანტებს მიეცემათ უფლება ხელახლა წარადგინონ საბუთები ახალი ვადით სტიპენდიის მიღებაზე.
1.4. სტიპენდიის ფუნქციონირებისათვის თანხების უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებს პროფ. ესტატე ხმალაძე, მასვე ენიჭება სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის დაკომპლექტებისა და მასში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის დასმის უფლებამოსილება.

2. სტიპენდიის მინიჭების წესი და კრიტერიუმები:

2.1. სტიპენდია ეძლევა განსაკუთრებული ნიჭის და სიბეჯითის მქონე სტუდენტს. მაღალი აკადემიური მოსწრება აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ შეიძლება არ იყოს ერთადაერთი გადამწყვეტი ფაქტორი.
2.2. სტიპენდიანტი უნდა იყოს ზოგადად განათლებული პიროვნება, დაინტერესებული მსოფლიო ლიტერატურით და ხელოვნებით, მიზანსწრაფული და თვითმოტივირებული ადამიანი.
2.3. სტიპენდია უნდა მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.
2.4 იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოიძებნა კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა, იმ წლის სტიპენდია არ გაიცემა.
2.5 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია ადგენს საუკეთესო კანდიდატების მოკლე სიას (1-3 კაცი). საბოლოო გადაწყვეტილებას კომისია იღებს პირადი გასაუბრების შედეგად;

3. სტიპენდიის მაძიებელი სტუდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა:

სტიპენდიის მაძიებელმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს:

3.1 განცხადება
3.2 CV
3.3 აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი
3.4 პროფესორის სარეკომენდაციო წერილი

4. სტიპენდიის გაცემის პროცედურა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს:

4.1 სტიპენდიის შესახებ სტუდენტების ინფორმირებას
4.2 კანდიდატთა განცხადების მიღებას
4.3 მიღებული განცხადებების სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიისათვის გადაცემას